პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
—სექტემბერი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიდგორში ორასი თავდადებული მხედრის I შესახვევის სიტუაციური ნახაზის დაზუსტების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. საბურთალოს რაიონში, სოფელ დიდგორში დაზუსტდეს ორასი თავდადებული მხედრის I შესახვევის სიტუაციური ნახაზი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

44.671954,41.792842



ეროვნული I შესახვევი.
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

21.09.2023
06-032326412-03

21 / სექტემბერი / 2023 წ.

KA011700553367823

№ 205050

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას

ასლი: დავით რაჭველიშვილს (პირადი ნომერი 01019051703)
მის.: ქალაქი რუსთავი, მე- 17 მკ/რ, კორპუსი 12 ბინა 61

გაცნობებთ, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში - "სააგენტოს") წარედგინა დავით რაჭველიშვილის №184533/17 განცხადება (იხ. დანართი №1), რომლის თანახმად მოთხოვნილია სააგენტოს ინტერაქტიულ რუკაზე - maps.gov.ge საბაზისო რუკის ფენაში მონაცემების კორექტირება. კერძოდ, მოთხოვნილია საავტომობილო გზის მანიშნებელი ყვითელი კონტურის იმ მონაკვეთის წაშლა, რომელიც კვეთს უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში განმცხადებლის საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ უძრავ ნივთს საკადასტრო კოდით - 01.72.14.002.038. განცხადება თანდართულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილის ასლით. წერილში მითითებულია, რომ 01.72.14.002.038 მიწის ნაკვეთზე განხორციელდა ფუნქციური ზონის ცვლილება.

ამასთან, მოგახსენებთ, რომ განმცხადებლის დაინტერესებაში არსებულ ტერიტორიაზე სააგენტოს მიერ წარმოებულ სამისამართო რეესტრში აღრიცხულია გეოგრაფიული ობიექტი სახელწოდებით "ორასი თავდადებული მხედრის I შესახვევი". მარეგისტრირებელ ორგანოში დაცულია ქალაქ თბილისის საკრებულოს 2011 წლის 28 ოქტომბრის № 68 დადგენილების ასლი, რომელიც წარმოადგენს ზემოხსენებული გეოგრაფიული ობიექტის სახელდების დამადასტურებელ სარეგისტრაციო დოკუმენტს. სააგენტოში დაცული არ არის რუკა, რომელიც ზემოხსენებული დადგენილებით სახელდებული ქუჩების, შესახვევებისა და ჩიხების სამისამართო რეესტრში რეგისტრირებული გეოგრაფიული მოხაზულობის სისწორის გადამოწმების საშუალებას მოგვცემდა.

ამდენად, მოგმართავთ შუამდგომლობით:
- მოგვაწოდოთ 2011 წლის 28 ოქტომბრის № 68 დადგენილებით სახელდებული გეოგრაფიული ობიექტების გავრცელების ამსახველი რუკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- უზრუნველყოთ ინფორმაციის გადამოწმება, რამდენად, მართებულად არის რეგისტრირებული სამისამართო რეესტრში "ორასი თავდადებული მხედრის I შესახვევის" გეოგრაფიული მოხაზულობა (გთხოვთ, იხელმძღვანელოთ სააგენტოს ინტერაქტიულ რუკაზე - maps.gov.ge მოცემული ინფორმაციით), უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ სწორი მოხაზულობის ამსახველი ინფორმაცია;
- იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე მომენტისთვის სამისამართო რეესტრში მართებულად არის რეგისტრირებული "ორასი თავდადებული მხედრის I შესახვევის" გეოგრაფიული მოხაზულობა, გთხოვთ, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გათვალისწინებით, იმსჯელოთ მისი კორექტირების შესაძლებლობაზე.

სიტუაციური რუკა - იხ. დანართი № 2). დამატებითი ინფორმაციის სახით, ასევე, გიგზავნით სააგენტოს გეოდეზიისა და გეოინფორმაციის დეპარტამენტის სივრცითი ინფორმაციის სამსახურის მიერ 2023 წლის 30 აგვისტოს ადგილზე დათვალიერების დროს გადაღებულ საორიენტაციო ფოტომასალას (იხ. დანართი №3).

დანართი: 8 (რვა) გვერდი.

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

საჯარო
რეესტრის
ეროვნული სააგენტო

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
209 შემ. № 184533/17
24 07 2023 წ
ფურცლების რაოდენობა 1 დანართის რაოდენობა 3

№27

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს

მოქალაქე დავით რაჭველიშვილი

01019051703

მცხოვრები რუსთავი

17მკ 12კორპ. 61ბინა

ტელეფონი 579-32-32-92

განცხადება

N 01.72.14.002.038 საკადასტრო კოდზე მოეხსნას ყვითელი ზოლი. მიმაგრებულ ელექტრონულ ფაილზე, ასევე ვკონტაქტობდე მეზობლის საკუთრებაზე. აღნიშნულ ბინაზე მეზობლის საკუთრებიდან მოხსნილია ყვითელი ზოლი.

დანართი: 1. ....

2. ....

განმცხადებლის ხელმოწერა დავით რაჭველიშვილი

24.07.2023

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: 16-0123188517
თარიღი: 07/07/2023

ადრესატი: დავით რაჭველიშვილი
პირადი ნომერი: 01019051703
მისამართი: საქართველო, ქალაქი რუსთავი, XVII მიკრორაიონი 12, ბინა 61

თქვენი, 2023 წლის 15 ივნისის N01231661799-67 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.002.038) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილებას გაცნობებთ, რომ საკითხი მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით დასამტკიცებლად წარედგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

დანართის სახით გიგზავნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 21 ივნისის N23.896.1000 განკარგულებას და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 ივნისის N27-55 დადგენილებას.

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032327566**
თარიღი: **02/10/2023**

ადრესატი: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
მისამართი: წმ. ნიკოლოზის / ნ. ჩხეიძის ქ. 2

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ განიხილა თქვენი 2023 წლის 21 სექტემბრის საქმე N06-0323264112-03, თბილისში ერთ-ერთ ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილებასთან დაკავშირებით.

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ ამ საკითხთან დაკავშირებით დაიწყო საქმისწარმოების პროცესი და შესახვევის სიტუაციური ნახაზის ცვლილება განხორციელდება გეოგრაფიული ობიექტების წესის შესაბამისად.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი